გიწვევთ *2019 წლის 20-25 ივლისს* <u>მართლმსაჯულების 2019 წლის ზაფხულის სკოლაში</u> მონაწილეობისთვის. ზაფხულის სკოლა ტარდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ეგიდით, შემდეგი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და თანამონაწილეობით: ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი (EU4Justice), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG), ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში (CoE), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტი „მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციისთვის“ და ევროკავშირის, UNDP-ის და და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი პროექტი „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ (HR4ALL).

ზაფხულის სკოლის მონაწილეები არიან საერთო სასამართლოების სამართლებრივი უზრუნველყოფის თანამშრომლები. დამატებით 5 მონაწილე შეირჩევა კონკურსანტებისგან, რომლებიც არ არიან დასაქმებულები საერთო სასამართლოების სისტემაში, არიან <u>სამართლის საბაკალავრო სწავლების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ან სამაგისტრო სწავლების სტუდენტები</u> (შერჩევის კრიტერიუმები დეტალურად იხილეთ დაბლა).

2019 წლის ზაფხულის სკოლის მთავარი მიზანია მონაწილეთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანის უფლებათა სამართლის, საერთაშორისო და ევროპული სასამართლო სტანდარტების მიმართულებით. ზაფხულის სკოლა მიზნად ისახავს მონაწილეთა როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერებას და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ცალკეულ საკითხებზე (მაგალითად დისკრიმინაციის აკრძალვა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისევე როგორც საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი პრაქტიკის მიმოხილვა, სამართლებრივი კვლევა და წერა, აღდგენითი მართლმსაჯულება, კონსტიტუციური წარდგინებების მომზადება, სასამართლოში და მხარეებთან კომუნიკაცია. ზაფხულის სკოლის მომხსენებლები არიან მოწვეული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები.

ზაფხულის სკოლის პროგრამით ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკული დავალებების შესრულება, რომლის საფუძველზე გამოვლინდებიან სკოლის საუკეთესო მონაწილეები.

სამუშაო ენა: ქართული.

სასამართლოს ზაფხულის სკოლაში მონაწილეობისთვის ვიწვევთ:

- სამართლის საბაკალავრო სწავლების დამამთავრებელი კურსის ან სამართლის სამაგისტრო სწავლების სტუდენტებს;
- რომლებიც, დაინტერესებული არიან საერთო სასამართლოების სისტემის ფუნქციონირებით.

დაინტერესებულმა პირებმა ***2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით*** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე supportjudiciary@eu4justice.ge უნდა წარმოადგინონ CV და სამოტივაციო წერილი (ქართულ ან ინგლისურ ენაზე). წერილის სათაურში მიუთითეთ „სტუდენტი“.

**** 2019 წლის ზაფხულის სკოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მართლმსაჯულების 2018 წლის ზამთრის და ზაფხულის და 2019 წლის ზამთრის სკოლის მონაწილეები.**

ზაფხულის სკოლაში მონაწილეთა შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კონკურსანტების შერჩევა;
II ეტაპი - გასაუბრება შესარჩევ კომისიასთან.

ზაფხულის სკოლა ჩატარდება ქალაქგარეთ და მასში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფენ ზაფხულის სკოლის მხარდამჭერი ორგანიზაციები.

დამატებითი კითხვებისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ მითითებული ელ.ფოსტის მისამართზე supportjudiciary@eu4justice.ge